# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 93. კვირა, 16 თებერვალი 1903 წ. გაზეთის № 2071.

## მიულერის სიკვდილი

გ. იაბლოჩკოვისა

გაიღო კარები და ოთხმა თეთრით მოსილმა მოსამსახურემ ლოგინზე მწოლარე ავადმყოფი შემოიტანა. იმათ ექიმთა მთელი გროვა შემოჰყვა, რომელნიც სახელ განთქმულ პროფესორის კლინიკაში დადიოდნენ; ახლად შემოსულნი კედლებთან ჩამწკრივდნენ. შემდეგ საქმიანის სახით საჩქაროდ შემოირბინეს ასისტენტებმა და ფანჯარასთან თავიანთ მაგიდას მიუსხდნენ.

მერმე თითონ პროფესორიც შემობძანდა.

აუჩქარებლად მიუახლოვდა ლოგინს, თავაზიანად ჯენტლმენურის თავის გადაქნევით მიესალმა აუდიტორიას. ამ დროს იმის ყელსახვევზე ბრილიანტმა გაიელვა; ცოტათი მიიბრუნა თავი ასისტენტების მაგიდისაკენ; სახეზე ლოდინი გამოეხატა.

პროფესორი იყო სახელ განთქმული, დიდებული მეცნიერი, მეფეთა ექიმი, უსიცოცხლო ბებერი, პატრიცის სახისა და ლაპარაკობდა უსიცოცხლო ხმით.

კოხტა ასისტენტი სწრაფად წამოხტა, გამოიღო უბის წიგნი და მკვახე ხმით დაიწყო გვარების კითხვა.

გამოვიდა სამი სტუდენტი; იმათ მოწიწებით დაუკრეს თავი პროფესორს და დადგნენ მახლობლად. მოსამსახურემ ფაცაფუცით გამოაძრო ფიცრები ლოგინიდან და გადასწია საბანი.

პროფესორი ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი დამშვიდებული დასცქეროდა ავადმყოფს და ოდნად არხევდა მხრებს მარჯვნივ და მარცხნივ.

მაღალ ფანჯრებიდან ანათებდა მზის ცივი უხალისო შუქი. ავადმყოფი იწვა ჯიგარის ფერის სახით, უკან თავგადაგდებული და ხმა-მაღლა სუნთქავდა. სამი სტუდენტები ყურადღებით დასცქეროდნენ და შეშინებულნი პასუხს ამზადებდნენ.

რამდენიმე წუთი გავიდა.

პროფესორმა ამოიღო ჯიბიდან მარცხენა ხელის ცერი და ძლივს შესამჩნევად გაიშვირა მახლობელ სტუდენტისაკენ.



კარნავალი (ჩვენებური ყველიერი).—სურათი მერვარისა.

— რას ხედავთ? — დაეკითხა იგი ოდნავ ბაგეების განძრევით.

პატარა ყირმიზა სტუდენტმა დაიწყო იმის აღწერა, რასაც ჰხედავდა.

ლაპარაკობდა მთრთოლვარე ხმით; სთქვა რომ ავადმყოფი შუა ხნის მამაკაციაო, მძლავრის აგებულებისა, მაგარ ძარღვიანი; როგორც ეტყობა, ავადმყოფს ცნობა დაკარგული აქვს, წევს ზურგზე, სახე გალურჯებულია, სახის საფეთქლებზე ოფლი აყრია, პირი გაღებული აქვს და სუნთქავს მძიმედ და ხმამაღლა.

— მერე?

პატარა სტუდენტმა გაუბედავად დაადვა ხელი ავადმყოფს სახეზე, დააყოლა კისერსა, და გულზე, შემდეგ ცოტათი შეჩერდა, გადავიდა ფეხებისაკენ, შეჰყო საბანს ქვეშ ხელი და განაგრძო, რომ ავადმყოფს კანი და ხელ-ფეხი ცივი და სველი აქვს და ამასთან სიმსივნეც ეტყობა.

— კიდევ!—ბაგე გაუხსნელად წარმოსთქვა პროფესორმა.

სტუდენტმა აიღო ავადმყოფის ხელი და უნდოდა მაჯა დაეთვალა.

— თქვენ დაგავიწყდათ.... — უთხრა პროფესორმა.

სტუდენტი გაჩერდა.

ცერი მიტრიალდა მეორე და შემდეგ მესამე სტუდენტისაკენ.

— სახის გამომეტყველება!—მკაფიოდ წარმოსთქვა მესამე განიერმა ქორისაებ მკვირცხლ თვალებიანმა, წითურმა სტუდენტმა.

— დიახ, — სთქვა პროფესორმა და ისევ მოჰყვა მარჯვნივ და მარცხნივ რხევას. — თქვენ დაგავიწყდათ სახის გამომეტყველება.

პატარა სტუდენტი, დარცხვენილი, ყურადღებით დააცქერდა ავადმყოფს სახეზე.

— სახის გამომეტყველება ცნობა დაკარგულისა აქვს...— სთქვა იმან. — ავადმყოფი ცნობა დაკარგულია.

— კიდევ?..

— გამომეტყველება... ტანჯული...— გაუბედავად დაუმატა პატარა სტუდენტმა.

— დამახინჯებული...—გაუსწორა გულგრილად პროფესორმა.

— ავადმყოფს სახის გამომეტყველება დამახინჯებული აქვს. ჩვენ ამას ვეძახით?..

თითი მიუშვირა მეორესა და მერე მესამე სტუდენტს.

— facies Hippocratica!—უწინდებურად გარკვევით მიუგო მკვირცხლ თვალებიანმა სტუდენტმა.

— ჰიპპოკრატის სახეს... დიახ... დამახინჯებულს... სახის ტანჯულ გამომეტყველებას.. facies de composita... მაჯა?...

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...—ითვლიდა ხმა მაღლა და დაკვირვებული ზევით რაღასაც უყურებდა. — მაჯა ჩქარი აქვს და სუსტი...

— დიახ, — სთქვა პროფესორმა და ერთის წუთით შეახო ხელი ავადმყოფის ხელს.—ჩქარი და სუსტი. დიაგნოზი?..

პატარა სტუდენტი დარცხვენილი ჩუმად იდგა. პროფესორის თითი პირ-და-პირ წინანდელ სტუდენტისაკენ მიტრიალდა, ისიც გაჩუმებული იყო.

— სიჩუმე დაკვირვებული აზროვნებისა.... — წარმოსთქვა პროფესორმა და სახეზე ღიმილი გამოისახა, რომელიც სწრაფად გამოიხატა ასისტენტებისა, ექიმებისა და მთელის აუდიტორიის სახეებზედაც.



წარსულ დროიდან. გამოჩენილი მომღერალი სათარა და მეჭიანურე ქვანგულა ტფილისში.

— მაგრამ გეთანხმებით...—განაგრძო იმან,—დიაგნოზი— მართლაც და ცოტათი ძნელია... შეიძლება უფრო იმიტომ, რომ ეს შემთხვევა თქვენთვის მოულოდნელია. ამისათვის ჩვენ თითონ ვიცით.

პროფესორმა ძალ დატანებით აიმაღლა ხმა, მიჰმართა მთელ აუდიტორიას და წარმოსთქვა.

— ავადმყოფი... სულთ მობრძავია... დღეს თქვენ მომაკვდავი კაცი წარმოგიდგინეთ შესასწავლად.

აუდიტორია მთლად შეჰკრთა თითქო ტალღამ დაჰკრაო, პირველი მწკრივი დაიხარა წინ, შუა—ფეხზე წამოდგა, უკანანი კი სკამებზე შეცვივდნენ და ყველანი ხარბად დააშტერდნენ ავადმყოფს.

ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ ავადმყოფის მაღალი, შეწუხებული სუნთქვა-ღა ისმოდა, რომელიც მიემსგავსებოდა ძილში მყოფ მთვრალ კაცის სუნთქვას.

შორს რახრახით გაჰქროლა მატარებელმა და ლიანდაგის მთრთოლვარე გრგვინვამ მოიცვა ყველაფერი; როცა ხმაურობა შესწყდა, აუდიტორიაში ისევ ისმოდა პროფესორის უხალისო ხმა, რომელიც ამბობდა:

— იქნება ჩვენ გვისაყვედურონ, გულქვაობაში ჩამოგვართვან, რადგანაც სიკვდილი, საზოგადოდ ღვთიურ-იდუმალ მოვლენად არის მიღებული, მაგრამ ასეა თუ ისე, ექიმმა უნდა იცოდეს დიაგნოზი. დიაგნოზის ცოდნისათვის კი საჭიროა დაინახვა... დანახვა, რომ შესაძლო იყოს, ამისათვის უნდა დავარღვიოთ სიკვდილის მშვიდობიანობა... დღეს ჩვენ მოგვეცა საშვალება გვეჩვენებინა თქვენთვის ეს შემთხვევა,—და ჩვენ მოვალეობად ჩავთვალეთ გვესარგებლნა ამით.

— მაშ ასე,—განაგრძო კვლავ საქმიანის კილოთი,—ჩვენი მოვალეობაა თვალ-ყური ვადევნოთ ავადმყოფის სიკვდილის პროცესს. სიკვდილის მიზეზის გამოსარკვევად კი ავადმყოფს გასინჯვით ნულარ შევაწუხებთ და პირ-და-პირ ანამნეზს მივმართოთ.

და ოდნავ მიატრიალა თავი იმ მაგიდისაკენ, სადაც ასისტენტები ისხდნენ.

კოხტა ასისტენტი სწრაფად წამოვარდა ადგილიდან, სტაცა ხელი დაწერილ ქაღალდის ფურცელს, დადგა ლოგინის ბოლოში და გარკვეულის მკვახე ხმით დაიწყო ავადმყოფობის ისტორიის კითხვა.

დაწვრილებით იყო აღწერილი, რომ ავადმყოფი ორმოცის წლის კაცია, ქვის მთლელი, უცოლო, რომ უწინ ყოველთვის ჯან სალი იყო და მხოლოდ ეს რამდენიმე წელიწადია გულის ტკივილი აუვარდა, რომ ამ ერთის თვის წინად იგი მიიღეს კლინიკაში, სადაც თან-და-თან ცუდად ხდებოდა და რომ გუშინ, ათ საათზე, სულთ-მობრძავი გახდა.

პროფესორი შესცქეროდა ასისტენტს სახეზე და ისეთის გულ-მოდგინებით უგდებდა ყურს, თითქო რაც ესმოდა, იმისთვის სრულიად ახალი და ერთობ საინტერესო იყო.

ავადმყოფი, უკან ყელ-გადაგდებული, რომელსაც სახე უფრო და უფრო ულურჯდებოდა, ისევ ისე აჩქარებულად და ხმა-მაღლა სუნთქავდა; აუდიტორია სულგანაბული დაჰყურებდა იმას; კოხტა ასისტენტი კი განაგრძობდა სულთმობრძოლის მოვლენის აღწერას და სიამოვნებით ათამაშებდა ხმას სამსჯავროს იმ მდივანივით, რომელიც დამნაშავის სასიკვდილოდ დასჯის ოქმს კითხულობს.

ბოლოს გაათავა კითხვა, დაკეცა ქაღალდი და საჩქაროდ წავიდა და დაჯდა თავის ადგილას.

აუდიტორიაში ისევ გაისმა პროფესორის გულგრილი ხმა, ის ახლა, აუდიტორიისკენ მიბრუნებული, დაუდევრად აქნევდა ხელებს და ამბობდა:

— ერთობ ტიპიური შემთხვევაა... ავადმყოფი—ქვის მთლელია; იმან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშაობაში დახარჯა თავისი გული... არის ბევრ ნაირი ხელობა, რომელიც ადამიანს აუცილებლად გულის სიდამბლეს უჩენს. ასე ემართებათ ფალავნებს, ჯამბაზებს, მჭედლებს და სხვებს. ქვის მთლელებს პირველი, უმთავრესი ადგილი უჭირავთ ამ ჯგუფებში, განსაკუთრებით იმ ქვის მთლელებს, რომელსაც ჩვენი ავადმყოფი

არ იწუხებდა. ამ გარემოებით კარგად სარგებლობდა „თხუნელა“, მოხელეების ბედ-იღბალი თითქმის ხელში ეჭირა და, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა საქმეს.

ვ. ვასილიჩს ცოტა წასთვლიმა, მაგრამ რაღაც ხმაურობამ მალე გამოაღვიძა. მეორე ოთახიდან, ეგრედ წოდებულ ზალიდან, ისმოდა აჩქარებულ ფეხის ხმა, დაბლა კვნესა და ტირილი. ყველა ეს რაღაც გულსაკლავ ჰანგად ირეოდა ერთმანეთში და დრო გამოშვებით ხან შესწყდებოდა, ხან უფრო მატულობდა.

სტიროდა და ჰკვნესოდა ანნა, რომელსაც მოახლოვებოდა ლოგინზედ დაწოლა და ტკივილი საშინლად აწუხებდა. მაგრამ სტიროდა უფრო იმიტომ, რომ აგერ მეორე დღე იყო, რაც ქმარი აღარ ნახულობდა სულ უბრალო უსიამოვნების გამო. წუთიდან წუთზე ხმაურობა ძლიერდებოდა. ზალის კარები ხშირად იღებოდა და იხურებოდა. ვ. ვასილიჩმა გატრუნა სული და ყურადღებად გადაიქცა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ზალაში ბლომად მოეყარათ თავი დედა კაცებს და გაფაციცებულ მუშაობაში იყვნენ.

„ეჰე!“ იფიქრა ვ. ვასილიჩმა! „ესეც შენი მეორე სურპრიზი! ახლა თუ ბებიაც მომთხოვეს, შენ მაშინ ნახე სეირი! მერე ჩემი ჯიბე ისეა წმინდა, როგორც თხუნელას სინიდისი. აქ უყურე და! მოდი და ნუ მოიხრი თავს იმ არამზადა თხუნელას წინაშე! სად წახვალ უპროტექციოდ? მაგრამ ახი კია ჩემზე, ახი! რა მინდოდა მარტოკა ვგდებულიყავ! ეხლა რომელი ერთი ვიდარდო: ცოლი, შვილი, კიდევ შვილი, სიდედრი, თუ ჩემი თავი! მოიტა და მოიტა! ახლა, ანგარიშსაც რომ მომთხოვენ ხოლმე!“ აქ ვ. ვასილიჩმა ტაში ტაშს შემოჰკრა, თავი გაიქნ-გამოიქნია და მეორე მხარზე გადატრიალდა. „მომიყვებიან: სად იყავ, ფულს რას უშვრები, ნუ სვამ და სხვა. მოდი და ნუ დალევ, როცა ბოლმით გული სკდება! ვის შეგიძლიან გაუზიარო შენი დარდი? ცოლსა? მერე გაიგებს ან შეისმენს რამეს ქალის მოკლე ჭკუა? ან თუ არა და რა ცოლის საქმეა ქმრის საქმეში ჩარევა! შენ გდიხარ შენთვის, ეგდე, შე ოხერო: მოხარშე, სახლს მოუარე, შვილს მოუარე, მორჩა და გათავდა! შენ შენი არ დაგაკლდეს და სახლში დავიძინებ თუ გარედ, ეგ რა შენი საქმეა?“ ფიქრით ეკითხებოდა ვ. ვასილიჩი თავის ცოლს: „იმ ქოფაკმა სიდედრმა ხომ თავის წრიპინით სისხლი გამიშრო რაღა, სისხლი! მამა ვაცხონე დავიდოვისა, ახია რაც ის ცოლს დღეს აყენებს... მოიცა.“ შესწყვიტა ფიქრი ვ. ვასილიჩმა და სული განაბა. „ტირილს მოუმატა. აი, იტირე შენი თავი, შენი... მოთმენა აღარ შემიძლიან, მალე მოვშორდე, თორემ ჭკუიდან შემშლიან.“

ვ. ვასილიჩი საჩქაროდ წამოხტა ფეხზე, გაიძრო საშინაო ძველი ტუჟურკა და მივიდა კედელთან ფორმის სერთუკის ჩამოსაღებად. ამ დროს ზალის კარები გაიღო ნელა და ვ. ვასილიჩს გამოეცხადა მოხუცი სიდედრი, რომელიც ძველ შავ კაბაში, თავზედ ძველის შალის ნაგლეჯით და დაკარწახებულის მკლავებით ჩუმად იდგა ერთ ადგილას, თითქო ბრძანებას ელისო.

— რა გნებავთ? რა იყო?—შეტევით მიუბრუნდა ვ. ვასილიჩი და სერთუკი კრაოტზედ გადისროლა.

— შვილო, ექიმი, გენაცვალოს დედა, ექიმი! თორემ დავიღუპეთ!—უცბად წამოიძახა მოხუცმა, ცრემლები ველარ შეიმაგრა და კაბის კალთით თვალების სრესას მოჰყვა.

— რაო, ექიმიო!—გაოცებით შეჰყვირა ვ. ვასილიჩმა და თვალები გადიბრიალა.—მამა გიცხონდებათ, მამა თქვენიც უექიმოდ აღარას მიირთმევდა!

მოხუცმა ველარ გაჰბედა ხმის ამოღება, გულხელი დაიკრიფა და უნუგეშოდ თავი ძირს დახარა. ვ. ვასილიჩი დასწვდა სერთუკს, გადიცო ტანზედ და აჩქარებით მოჰყვა ღილების შეკვრას.

— არა და! ბებიასაც რომ აღარა კადრულობენ!—ჰკვიროდა ვ. ვასილიჩი და თან გული მოსდიოდა და ილანძღებოდა, რომ სერთუკის ღილები მალე არ იკვრებოდა.

— შვილო, რათა სჯავრობ? დაე ბებია იყოს, მხოლოდ მალე, შენ გენაცვალოს დედა!—ეხვეწებოდა მოხუცი და თან ცრემლებს ხელის გულით იწმენდავდა.

— კარგი, გავიგე, ნუ გამიჭირეთ საქმე, მომშორდი თავიდან!—კიდევ შეუტია ვ. ვასილიჩმა და ხელი უჩვენა ზალისაკენ:—მთელის ქუჩის ყვავ-ყორნებისთვის თავი მოგიყრიათ, რაღა ბებია გინდათ, ან საიდან მერე? აი ჩემი ფული!—ვ. ვასილიჩმა ამოიღო ჯიბიდან ცარიელი პორტმანი და თავის გასამართლებლად ცხვირ წინ დაუბერტყა სიდედრს.

— მაშ რას უშვრები, შვილო, იმოდენა ფულს? თხუთმეტ თუმნამდის...

— Но, но!—გააწყვეტინა ვ. ვასილიჩმა. — მოჰყე კიდევ? ეგ თქვენი საქმე არ არის, რამდენსაც ვიღებ, მომწყდით თავიდან!—შეუტია და თითი ზალისკენ გაუშვირა.

მოხუცი ადგილიდან არ იძროდა. იმის სახის ერთ ნაწილს ბუხრიდან სინათლე მისდგომოდა და ჩალურჯებულ თვალში მორეულ ცრემლებს ცეცხლის შუქი მხიარულად სხივებს ესროდა. „ეჰ! ჰფიქრობდა მოხუცი: შე სინიდისისაგან ხელ აღებულო, შენა, კარგადა გაქვს ეშმაკებისთვის და სალოთაოდ, ჩემ შვილისთვის კი..“ შვილის ხსენებაზედ გული ამოუჯდა, ერთი მწარედ ამოიოხრა, თვალები მოიწმინდა კაბის კალთით და ზალის კარები შეაღო.

ვ. ვასილიჩმა თვალები ზიზღით გააყოლა მოხუცს და როცა უკანასკნელმა კარი გაიხურა, ერთი შეუკურთხა და თანაც მიაფურთხა: „შხამია სწორედ, შხამი, გველივით ზედ გულზედ გიკბენს! „რას უშვრები ფულსა, ამდენს იღებ, იმდენს იღებ!“ იმეორებდა სიდედრის სიტყვებს და თან სახის მანჭვით აჯავრებდა. „ერთი კაცმა ჰკითხოთ, რა მაგათი საქმეა, რამდენსაც



განდეგილი.—სურ. იაკობიდისა.

ვიღებ; ვინა გდიხართ, რომ ანგარიშსა მთხოვთ? მოართვით ექიმი! აი, ნეტა არ იქნება, გასწყდეთ და თან გადაჰყვეთ

უ 50/14

ერთმანეთს, ცოტას მაშინ თუ მოვისვენებ!“ ბუტბუტებდა ვ. ვასილიჩი და გაცხარებული კუთხიდან კუთხეში ქუდს დაეძებდა. „არა და, ის ოხერი ქუდიც ეხლა დაიკარგა, რომ მოვშორდე მალე და დავიღუპო სადმე! დახე, სადა გდებულა!“ წამოიძახა ვ. ვასილიჩმა და იატაკიდამ ქუდი აიღო: „ბნელაში კაცს ვერა გაურკვევიარა. ნეტა რას მიკეთებენ, რომ ლამფა რა არის, ლამფა ვერ აუნთიათ! ჰყრიან უდარდელად და სულ მოტანაზე უჭყეტიათ თვალები“! ილანძღებოდა და თან წნიდაყვით ქუდს ისუფთავებდა.

რამდენსამე წუთს პალტოში გამოწყობილი და ჯოხით ხელში წასასვლელად მოზადებული ვ. ვასილიჩი კარებთან იდგა და ჰფიქრობდა, ვისგან და რა გზით ეშოვნა ფული. „ივანე დარაჯს გირაო უნდა... რაცა მქონდა, სულ დავუგირავე... ამხანაგები ხომ არას მომცემენ და არას! ეჰ, სულ იუდები არიან!“ გასწყვიტა ფიქრი ვ. ვასილიჩმა და სახე უსიამოვნოდ დაეღრიჯა. „ვცდი მაინც, წავალ ჯერ ნიკოლაი ნიკოლაიჩთან“. გადასწყვიტა როგორც იყო და კარებს ხელი წაავლო გასაღებად. აქ უეცრად მოაგონდა, რომ თამბაქო და-ვიწყებოდა, მიბრუნდა სტოლთან, საჩქაროდ აავსო სათუთუნე და ისარივით გავარდა ოთახიდან.

გ. მაქსიმაძე.

(შემდეგი იქნება)




ტფილისის ტრამვაის რაშები.




მასწავლებლის მდგომარეობა.



ერთის თვის ჯვარ-დაწერილნი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ...

უოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით

„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა